

ეროვნული  
გიბრიონია

4  
1966

გამოცემას 44-ი ფული. ვაკე 20 ქან.

# ეროვნული გიბრიონია

1966

თაგილია, ივნისი

№ 12 (1238)

1966 წლის 25 მაისს კრემლში გაიხსნა სკეპ ცენტრალური კომიტეტის პლენური, რომელმაც განიხილა საქოთხი — „ფართოდ ვანვაკითაროთ მიწების მელიორაცია მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად“.

კარტიაგ თევა და მორჩივი  
მიზეზს ახალი არსები.  
გვირული უროშის მოწამეოდ  
იუსტიციას უანაზალები.

ღოვლათის სვავი იმრავლება,  
გაერება გვალვის ხსენება.  
ჭვიბებად გარცები მდინარეს,  
ორსავლის გვალის რეგისად





ნახ. ლ. ზარაფიშვილისა

— რა მზადებაში ხართ, ქორწილი გამოთ?  
— არა, კაცო! ჩვენი თავაჯდომარე ამაღამ პურდლელზე  
სანალორი მიღის.

## აზეული სესხი ზარაფიშვილი

— მიშო, თემურ, რას გაეხარ, თმა  
როგორ მოგიშვია?!

— კვითხე მეტობ-  
ლის მეათეკლასელ ვაუს, რომელიც  
განგებამ დამახვედრა შინ.

— მითლისი ვარ, ძია კაკო, მითლ-  
სი!

— მითლისი რაღაა?

— ა! — და ხელით მანიშნა სახე-  
გმდაღმტეჭილი მიჭების სურათებით აჭ-  
რელებულ კედლებზე, — მთელმა მსო-  
ფლიოზ იცის ისინი და თქვენ არა? —  
ინგლისელი მომღერლები არიან. რა  
ხმა აქვთ! რა გიტარები! რა თბები!

— მერე, რას იჭყანებიან, რას გაჩე-  
ჩილან? შენც ასე უნდა გაიჩირო? შენც  
ამხელა თმა უნდა მოუშეა?



— მაშ, როგორ! მამაჩემი კი მეჭაჭ-  
დანება — შეიკრიბეთ, მაგრამ, რას  
დავეძებდე... მითლისი ვარ, მითლისი!

— მამაშენს თუ არ დაეძებ, პარიკ-  
მაზერები მაინც შეიცოდე, ჩივიან —  
კლიენტი შემოგვაკლდათ.

— რა ესმით! ჩამორჩენილი ხალხია.  
ცხოვრება წინ მიღის!

— გაჩილიო თმებით?

— რატომ? სიმღერებითაც. გინდათ,  
მათსაეფთ ვიმღერო?

— აბა, ერთი, შენს გაზრდას!

თემური სიმებდანჯღრებულ გიტარას  
ეცა, თავი წყლიდან ამოფოფხებული  
ღრევით შეარჩია და თმა თვალებზე  
ჩამოიშალა, მერე ძარი ღრმად შეი-  
სწორება და ღრიალი მორთო.

— რა დაგემართა, ბიძიკო?

— არ მოგწონთ? ესაა, რაცა! მაშ,  
„სულიკოსა“ და „ციცინათელას“ ხომ  
არ ვიმღერებ?

— არა, რა თქმა უნდა! ცხოვრება  
ხომ წინ მიღის. იცი? ერთი აზრი მო-  
მიგიდა: ჩემს მაგნიტოფონს მოვიგან  
და შენი სიმღერა ჩავტერთო. გაიზრ-  
დები, მოისმენ.

— შენი ჭირიმე, ძია! — ლამის კი-  
სერზე დამახტა თემური, — ოღონდაც  
ჩამწერე და მთელ წელიწადს მე დავყ-  
რი თქვენს ნაგავს მანქანაზე.

რაღა ჩარა იყო, თხოვნა შევუსრუ-  
ლე.

— მერაბ! მითლისი ახალი ჩანაწე-  
რი მაქეს, გინდა მოგასმენინ? —  
ვკითხე მეორე დღეს მეორე თმაგაჩე-  
ჩილ ბიჭს. (ისიც ჩემს ქზოში ცმოფ-  
რობს და მეცხრეკლასელია).

— რას მეუბნებით, ძია კაკო! ხაი-  
დან, მე როგორ გამომრჩა?

— გუშინწინ, დამის სამ საათზე,  
გადმოსცეს ლონდონიდან. მხოლოდ  
ერთი სიმღერის ჩაწერა მოვასწარი.

— არ გამაგიუთ, ძია კაკო! უკ,  
რა გემოვნებიანი ადამიანი მრძანე-  
ბულხართ! თქვენ უნდა იყოთ ფურნის  
გამგე და მამაჩემი — ისტორის მას-  
წავლებელი?

— ეს არაფერი, ბიძიკო. მაშ, შემო  
თოახში, მოვუსმინთ!

მაგნიტოფონი ჩავრთე და თვალები.

გაბრწყინებულ, აცმუკებულ მერაბს  
დავუწყე ყურება.

— ძია კაკო, ამ სიმღერისოვის  
ტკინს დავანთხვევ, ჰექას ჩაგაბარებ!  
ახლავე მოვიტან ჩემს მაგნიტოფონს.  
რას მღერიან! უკ, შენი ჭირიმე! ასეთი  
რამ ჩენენს ბიჭებს სად ექნებათ!

— გართლა მოგწონა?

— გართლაო? რაღა კითხვა უნდა!  
ასეთი გასაგიერებული სიმღერა ჯერ არ  
მომისმენია.

— ეეპ, ბიძიკო!

— რა იყო, ძია კაკო?!

— გეღარ იცანი? ეს ხომ ჩემი თე-  
მერი ღრიალებდა, ბიძო!

— ?!

თენაიზ გოგოლაძე.





## ზერაბ ერქანის მის რიცხვი

2016 იმიტომაც პეტრი თონი, რომ  
იოლად ვერ გამოიციო, ამიტომ, უკ-  
რამის თანამშრი გარკვევისათვის, ჯერ  
უბრალო არითმეტულ ამოცნას გთა-  
ვაზობთ.

ამ თანამშრი 30 რო ბა: ცნობი-  
ლია, რომ გარკვევი 100-გრამიანი გრი-  
ლიდ სასწრაოში 10,000 გრამს, ანუ  
10 კგ-ს წონას, 200-გრამიანი — 20  
კგ-ს მ.

კი თანამშრი 1-ლი: რამდენი აწონის  
200-გრამიანი გრილი, თუ მას 47 გრა-  
მით დაგამიძიმებთ?

3 ას უნი:  $200 + 47 = 247$ -ს;  
 $247 \times 100 = 24,700$ , ანუ 24 კგ და  
700 გრ.

კი თანამშრი 2-ლი: რამდენი აწონის  
200-გრამიანი გრილი, თუ მას 23 გრა-  
მით გააკამდენებთ?

3 ას უნი:  $200 - 23 = 177$ -ს;  
 $177 \times 100 = 17,700$  გრამს, ანუ 17  
კგ-ს და 700 გრამს.

კი თანამშრი 3-ლი: რა უდრის მიღე-  
ბულ სიღრიღეთა სხვაობა?

3 ას უნი: 24 კგ-ს და 700  
გრ-ს — 17 კგ და 700 კგ-ს.

ეს იყო და ეს! მეტა არაფრიდ  
გვაქვს გვათხველისთვის სათვალი, თუ  
არ დაუკავშებოთ ურთ პატარა წერილ-  
მას: ქ. ქუთაისში, პარათაშვილის ქუ-  
ჩის დასაწყისში რომ კოოპგრობის № 40 ფარგლენია, აი, იმ ფარგლენში

სულ ახლახან გამდეგ იყო ჭურაბ არ-  
ების ძე მეტეულიანი, რომელიც ერთ  
ხანს ციხეშიც იჯდა და რომელიც ჭუ-  
როშმებისას ზესატარ ასეთი დამამიქ-  
ძულ-გამზებუქებული გირებით აგრი-  
ანდა.

კერძოდ, იჯი ხმარობდა: ერთ  
200-გრამიან გირს, რომელიც ხელოვ-  
ნურად იყო დამამიქული 47 გრამით;  
მეორე 200-გრამიან გირს, რომელიც

27 გრამით იყო „გასუქებული“,  
ხოლო მისი ერთ 100-გრამიანი გირი  
121 გრამი გამოვიდა. მაგრამ ფარგლე-  
ნის გამდეგ ზოგიერთი კლიენტი იმ

მრიყები არ გამდეგ და „მიმი“ გი-  
რებთან ურთად „მსუბუქებაც“ პეტრიდა  
ასორტიმენტში. ასე, მაგრამ ად, მისი

ფრთი სამარალო 500-გრამიანი გირი  
ისე „გამნედარიყო“, რომ, როცა აწო-  
ნეს, მხოლოდ 398 გრამი გამოვიდა.

სიტყვა კი გავვიტრეულდა, მაგრამ  
კიდევ კი თან კითხა: რაში სჭიროებული-  
და მტებულას ასეთი დამამიქული  
გირები? ჩემს მტებულას უკლ ბიჭვნას  
რომ დაუკავშოთ, იმწერება: დამა-  
მიქული გირებით კლიენტის უკლებული  
ყიდულობა აღმართ პროდუქტს და  
მერე გამზებუქებული გირებით თვითონ  
ჰყიდდა. მაგრამ ბაგშეს დაუკავშირდა  
რამ?

სიტყვა კი გავვიტრეულდა, მაგრამ  
კიდევ კი თან კითხა: რაში სჭიროებული-  
და მტებულას ასეთი დამამიქული  
გირები? ჩემს მტებულას უკლ ბიჭვნას  
რომ დაუკავშოთ, იმწერება: დამა-  
მიქული გირებით კლიენტის უკლებული  
ყიდულობა აღმართ პროდუქტს და  
მერე გამზებუქებული გირებით თვითონ  
ჰყიდდა. მაგრამ ბაგშეს დაუკავშირდა  
რამ?

გ. გირიანი

გადას კუთხით, და სადღესასწაულ-  
ლო თარიღთან დაკავშირდებით, ნიანგასაც მოუკიდა  
უშველებელი ჩანგაზე წამოიდა და სავარდო და სამაისო კუთაისის  
მაისის მიწურულში ეწვია. კიდევ უცრო გაზრდილა, დაკავშირდებული და დამშვე-  
ნებულა ჩვენ „ინდუსტრიის მშენებელი“. ალათ, კიდევ უცრო აუგვიდება იგდება. ასალ  
უცრო გარება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნიანგა ნაკლოვანებები აინტერესებს  
ხომლებს. ამიტომ, წარმატებების ქებათა-ქება მასანიშელს — გაზრი კუთაისის“  
მიანდო. თავად კი თავის ჩვეულებრივ საკბილოს მიეტანა.

## სოჭი ტესამოვალი

ჩვენი ყოველნაირ სტუმარს ხალისით ხედე-  
ბიან, — დამატებულსაც და ღაუბატებელ-  
საც. თუმცა, ამას ცველაზე ვერ ვიტყვით. მაგა-  
ლითად, შაუმიანის ქ. № 25-ში მცხოვრებ მეუ-  
ლებებს — რებეკა და მიხეილ სეფაზვილებს  
დაუბატებელებით სტუმარი არაფრად ეპიტრავე-  
ბათ. აი, მათი გულცივი სტუმარობის ერთი ფაქტიც:

— გავაღო? — უჩურაჩულა რებეკა ქმარს.

— ჯერ ჰეთხე, ვინ ხერხია!

— „ობეხესიდან“ ვართ! — გაისმა გარედან.

— ამ წუთში, თევენი ჭირიმე, ტანთ გადავიც-  
ვამ! — ენა დამატება რებეკა და მეულეს წაუ-  
ჩურაჩულა: ლოგინში.

რებეკა აყრატული ქალია და იმის გადაცმა-  
გაყრებავებას 25 წუთი დასჭირდა.

— უკაცრავად, მაგრამ, მოგეხსენებათ სამსა-  
ხური. — თევა ერთმა.

— თევენ რა, — მიმართა მეორემ ლოგინში  
მშოლარე მახეილს, — იგადა ხართ?

— ავად არის, — უპასუხა რებეკა ქმრის მა-  
გივრად; მერე ავადმყოფს მიუბრუნდა და სიც-  
ხემ ხომ არ მოგიმატაო, მზრუნველია ჰკითხა.  
ავადმყოფს კვერცა აღმოხდა.

— ბინა უნდა გაეჩერიკოთ, აი, სანქცია! —  
თევეს მათ.

## მცირვანას აბანო უმვედის

010 სხვა ქუჩებაც ესტუმებოდა ხოლმე, მაგრამ, უმთავრესად,  
შაუმიანის ქუჩაზე დაეხტებოდა. ხან ხეს მიყრდნობოდა და გამვ-  
ლელ-გამომეტელელს თვალით „ზომავდა“, ხანაც შესასლელში ჩა-  
ტუტებოდა და ახლა იქიდან ექმდება საკმილოს. არავინ იცოდა,  
რას ექმდება იგი, მერამ თვალი შალომ შაბათას ძე ჩიკავშილს  
შესანიშავად ესმოდა თავისი საქმე: მოძებნიდა საგანილოს, კუნიში  
რაღაცას წასჩურჩულებდა და, თუ მსენეროდი ანგესზე წამოვგებოდა,  
მერე რათ უნდოდა!

— რას აკეთებოთ აქ, ვის ელოდებით? — მიმართეს მას.

— მცირვანა ვარ და მზეს ვეციცები, იქნებ ძელები გამითბოს.

— სად მუშაობთ?

— ავადმყოფი კაცი ვარ და მუშაობა სად შემიღლია. ა, ბატონი,  
საბუთიცი! — ჯიბისგან ხელი წაიღო, ბევრი ემა, მაგრამ ვერ მიაგ-  
ნო ჯიბებს.

— ორი პატრო რატომ გაციია?

— ხომ გითარით, უფროსო, მცირვანა გარ-მეტენი. აბა, რა ვენა  
მე საშავალია?

— კი მაგრამ, ორივე ახალთაბალი რომაა?

— ისე ავადმყოფი ვარ, ახალ პატროებაც, იქნებ ძელები გამითბოს.

— სხვებს რა მინით ანასებიდით პატროებას?

— მოეწონათ და მეითხეს — სად იყოდე, როგორია და უარ-

ხომლი ვეტყვიდი?

— მაშ, ძალიან მცირვანა ხართ, ხომ? — პკითხეს სამოლონდ მი-  
ლიციცებებმა.

— ენა რომ ვერ იტყვის, უფროსო!

გაელემონას მიღებულება „მცირვანა“ შალომი „აბანოში“ წაიყ-  
ვანეს. იქ, აღმართ, კიდევაც დაცემა.

ს. თარგამაშვილი

## არცა ადგირი მოსწრებაზეა

შუთაისის ფილარმონიის საზამთრო  
თაურეში ხშირად აღგილები უწესრიგოდ,  
უნიმრობოდა.

ქალაქიზი, უოველ ნაბიჯზე,

გაჩინდა „დიელოს“ აფიშა;

მისმა ჩამოსვლამ, სტუმრობამ,

კინაღა ცოლსაც გამოიხადა.

ბევრი ვირბინე, თუ ცოტა,

ხელო ვიგდე სამი ბილეთი.

(მოვიდავის და მოკრივის

არ დამტლებია ილეთი).

წინ წავუძხი ჭალაბასა,

(ზე საქმეს სხვა ვინ მოგილება?)

უველა შესასლელს მიაწყდა,

კარებზი გაებოგაირეთ.

ზე რომ ერთმაშალ შეცვეიდით,

უფინოს და გაბრაზებით,

ჩევნის აღგილებიზე დაგვიხდნენ

უცნობ ახალგაზრდები.

ვაჟი: „ეს ს ამები ჩენია!“

(ხისხმა თავში რომ მიწია),

„აქ პირველად ხარ?“

აღგილი მოსწრებაზეა, ბიძია!

მითხარ და ირონიულად

შემომაჩირდა თავხელი,

რა უნდა მექნა, მრავისგან

უცებ გაუშრი და გავხევდა.


ვინ კითხულობდა ბილეთებს,

ძირს დაკრილისა და გათელილს;


მთელი კონცერტი ჩამოვცდნით

ფეხზე ვითარდა სანთელი.

გოგონა







— ჩალიან ჩაერთო ჩარიყლაპიას გიში ჩალიკვილები,  
ოოთა ჭკუით იქოს, ანცესზე არ ზამომგოს!

# კამათი თემაზე...

**ერისონი** გამოსული კამპანია საპნის ბუშტივით გაქრა. ტევრის მეტად მეტად.

— ეს მოედნისკენ მივღივარ, ფეხით გავისეირნებ. — ვთქვი მც.

— მეც გამოვისეირნებ. — თქვა მან.

კარგა ხანს ჩუბად მივღოძოთ.

— რა პოეტური საღმოა! — ვთქვი მე.

არაფერი თქვა მან.

— ალბათ, ასეთი საღმოები აწერინებდა ლექსებს გალაკტიონს. — კიდევ ერთხელ ვთქვი მე.

კიდევ ერთხელ არაფერი თქვა მან.

„ველად ჰყრია ლურჯი კომში და ცისფერი ატამი...“ — წავიკითხე მე.

— ატამი გორის სჯობი. — თქვა მან.

მე დავდებდი.

აკადიმიური მეგლონი ნაბიჭი შევანელე.

— კარგი შოქანდაქე იყო ნიკოლაე. შშვენიერი პორტრეტია, პროსპექტს ამ-შვენებს. რამდენი სიფაქიზეა, რამდენი პოეტურობა. — ცოტა ხნის დუმილის შემ-დეგ დავუმატე მე.

— წინათ აქ ეთერის ბალი იყო. — ამდენივე ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

ქაშუეთს მივუახლოვდით.

— ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ქეგლია. სამწუხაროა, რომ სამთავისის ასლია მხოლოდ. — ვთქვი მე.

— „ველიამინოვზე“ უკეთეს ხინკალს აკეთებენ. — ავტორიტეტულად განაცხა-და მან.

მარჯვინივ გავითხდე.

— არც ეს მონუმენტური ქანდაკები მოგწონთ? — არ მოვეშვი.

— აქ წინათ მშვენიერი „ბავშვთა უნივერმალი“ იყო. — სინანულით თქვა მან.

— მაგ ქეგლებზე არ მოგახსენებთ. აი, იმ ფიგურებზე, — განვუმარტე მე.

— ხვალ ფიგურული სრიალია სპორტის სასახლეში. არ წმოხვალთ? — გამა-ხსნა ახლა მან.

სახელმწიფო მუზეუმს ვუახლოვდებოდით. მე მარცხივ უნდა ჩამეხვია. შვე-ბით ამვისუნობექ.

— ხვალ არ რიცხვია? — მექანიურად ვკითხე მე.

— ხვალ? ხვალ ხომ 26-ია! ჩვენი „დინამო“ თამაშობს, ნალდად წააგებენ.

— რატომ გგრიათ? — ალარ ჩავუსვივ მარცხივ მე.

— ვა! წააგებენ, მა რას იზამები! მესხი და მეტრეველი ნაკრებშია, საჭინავას თამაში აღარ უნდა, ფეხს იტკივებს. ამბობენ, ურუშაძეს და ხურცილავასაც წაიყ-ვანენ ლონდონშით.

— წაიყვანონ. აქ ახალგაზრდები გამოცდილებას შეიძენენ. — ჩავეპი კამათში მე.

მეტების ცახემდე ჩავაცილე.

მერე იმან ამომაცილა..

წყნარად თენდებოდა მაისის დილა.

გიგლა ფირცხალავა.

## П О Д Л Е Ц

„პალლიცი“ რუსული სიტუაცია  
და ქართულად, დაახლოებით, ამას  
ნიშნავს:

არ იცის მოყვრის დანდობა,  
ისე უჯიშო ჯიში აქვს;  
რომ ვეღარ შესძლო მხატვრობა,  
მხატვრული სიტყვა ირჩია.

შეუქეს გამბედაობა:  
„ვაჟებაცი ხარო, გულრეინა!“  
ძველსა და ახალ თაობას  
მიეპარა და უკბინა.

ღვარა ნიანგის ცრემლები:

„მჩაგრავენ, არვინ მარგია!“

ამ დროს კი პოლონერიდან  
იტალიურად თარგმნიან.

წერს განცხადებებს მოწყენით:

„ნუ მკლავთ, სისხლი ნუ გამიშრეთ,

ვინც გინდათ, იგი მოხსენით

და რედაქტორად დამნიშნეთ!“

თავს თვლის სამშობლოს მსახურად,

თუმც მიზნები აქვს გარეწრის;

ნამუსის ქუდი არ ხურავს  
და ამიტომაც არ ეწევის.

ექებს დიდების დაფნასაც,

(ჯერ ვერ იპოვნა ვერსადა).

საკუთარ მამის საფლავს ხნავს,  
ასე პგონია, ძეგლს ადგამს.

ბინა თუ მართლა არა აქვს,

შენს მიწას მიაბარეო,

ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო!

ჯვები დუმბავა

ამ ბობენ, თითქოს, მიქელანჯელოს ყოველთვის აღშეფოთებდა ანტუპური სკულპტურას ბრძან თაყვანის მცურავისა. ამინტომ და ქრისტეფო შენიშვნები. მოდასაყოლილ ვაიხელოვნებას და ცამდე აქვადათ ყველავერი ძეგლი, ხოლო ხეროვნების თავამედროვე ქმნილების ცეკვითა და მახვილით ეფექტოდნენ. მიქელანჯელომ ამ „მცოდნება“ გამამუშნება გადასწულიტა.

„ურთხევ, სახლის საფუძვლის გათხებისა, მუშავმა მიწაში ცალხოა ქანდაკება აღმოჩინება. ნაპორმა იმ წამსც მოიზელა ხელოვნების სიმელითა მოყვარული. — რა! ისმონა! როგორი სისახლი!

— მშედლი! მისი ურია ხელი უამათ მსელელობას მტვრად ცეკვისა. ეს ქანდაკება ღრმა წარსული უნდა მივაჭუროთ.

— განა, ჩვენს მშატვრებს შესწევთ უნარი, შექმნან ასეთი შედევრები? მე აზრობრივად წარმოიდგინ მით მეორე ხელს და აღფრთოვანების ვეღარ ფურავ.

— სტენი სართალ ხარი, ჩაერთა აუგარში მიქელანჯელო, — ორივე ხელით იგი გაცოლით უკა გამოიყურებოდა.

ამ სიტყვებით ერთად, მინ ქანდაკების ვერდით მომტკრეული ხელი დადო და მოჰყავა, თუ როგორ შექმნა ეს „ანტიკური“ ქმნილება რამდენიმე დღეში.

— გვატყვდები! — შეურაცყოფილად შეკყირეს „მცოდნება“. — ასე რომ იყოს, მიუშავი რისტოს ჩაღლავდო?

— მე დიდი ხანია შეფამჩინი, — უპსურა მშატვარმა, — რომ ყველაფური, რაც კი მიწიდან ამოქენ „მცოდნება“ თავშეუკავებელ აღფრთოვანებას იწევს და, როგორც ხელი დავთ, არც შევმეტარებარ.

თარგმნა მ. სადრაძე.

## ახილული ამოცანები

აგთოპროცედართონილი თითოები საჩვენებელი მეთუნუქე ჩაქუჩის თითოები დარტყმას 50 კაბიკად აფასებდა, თითოები საჩვენებელი მღებავი თითოები სანტიმეტრის შეღებას — 20 კაბიკად; კაბურატორის თითოები საჩვენებელი ისტარი თითოები შემომზებას — 10 მანეტად. რამდენი იღებდა თითოები საჩვენებელი დიარექტორი თითოები მანქანის პროცენტის შემდეგში?

პასუხი: მაგის დასათვლელად თითოები არ გეყოფა.

პასუხი: ალბათ, ფიზიკულის ინსტრუმენტი აქვს დამთავრებული.

\* \* \*

— „აბა, ერთიც!... მიღი!... ასე. კარგი!...  
— ვა!...  
— კადევ. მიღი, ჰო!... ასე!...  
— დავისვენებ ცოტას.  
— არა, მიღი! ჰაა. კარგი!  
— ოხ!  
— ცოტას, ცოტაც და...  
— ალა შემიძლა!  
— ცოტაც გაიჭირე!  
— ვისრჩიბი, ვაიმე... ხრრრ!..“  
რა მოხდა კეთილაძის ოგაზში, იხრჩიბა ვინებე?

პასუხი: არა! სუსა აყლაპინებენ ბაგშეს კოვზით.

3. კახელიზოლი

ნახ. ლონისა



— რა ამბავია, ჩალო, ამდენ გავვავი?  
— თელევიზორის საცურავლად უავავიდნო, გაუგიათ, რომ დღევანდელი ფილმის ნახვა გავვავისათვის რეკომენდაცია არ არის.

მთავარი რედაქტორი

ნორა დუმიაძე.

სარედაქტო კოლეგი: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შეელიძე, მ. ჭელიძე.

ნახ. 6. გალაზონიასი



— სათვალე გამვთ?

— როგორც ხდავთ, გიგანტი!

## • ციცელი გიგანტი •

ამას წინათ ნიანგმა გადაწყვიტა ერთი საშვილიშვილი საქმისთვის მოეკიდა ხელი. სახელდობრ: ზოგიერთი ხატოვანი გამოთქმისა თუ გამოჩენილი მწერლის აფორიზმისთვის უფრო მარტივი, ყველასათვის გასაგები შესატყვისები მიესადაგებინა.

ნიანგს ამ საქმეში პრიორიტეტის პრეტენზია არ გააჩნია, მაგრამ მაინც იმედოვნებს, რომ მკითხველი „წამოწყებსა“ და „მიმბავებელს“ შორის მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-ეთიკური პრიციპების აშკარა სიახლოვეს შენიშნავს.

გთავაზობთ ნიანგის მიერ შემოქმედებითად შედგენილი „შესატყვისების“ 1-ლი ტომის 1-ლი ნაწილის უმნიშვნელო ნაწილს:

1. „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“ ესე იგი, ქურდს თუ ქურდი არ უწოდე, პროფესორს რაღაც უშვილეს.

2. „ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხები აი ეს არის.“ ესე იგი, მარტო ის კი არ არის საკითხები, რომ ცოცხალი ხარ, ან ის, რომ არ ხარ, არამედ — ირავე ერთა და.

3. „სწავლის ძირი მწარე არის, კენჭეროში გატბილ-დების“. ესე იგი, ავად მყოფობას გაძლება უნდა, რომ მორჩიები, თოის სამართლისთვის დამიჩნეულება!“ ესე იგი, რა ფასი აქვს მსუბუქ მანქანას, თუ ნდე „ვოლგაც“ იყოს, „ვრავა“ თუ ჩამოგართვეს თ.

4. „რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩნეულება!“ ესე იგი, რა ფასი აქვს მსუბუქ მანქანას, თუ ნდე „ვოლგაც“ იყოს, „ვრავა“ თუ ჩამოგართვეს თ.

5. „გერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“. ესე იგი, თუ გინდა ქორწილში გატბილ-დების. ესე იგი, ავად მყოფობას გაძლება უნდა, რომ მორჩიები, თოის სამართლის გემოვნებასათვის დამიჩნეულება!“ ესე იგი, რა ფასი აქვს მსუბუქ მანქანას, თუ ნდე „ვოლგაც“ იყოს, „ვრავა“ თუ ჩამოგართვეს თ.

6. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდა მტრიანი!“ ესე იგი, უნ თბილის სულ გარე მტრიანი თორები, თორები იმპორტულ განვითარების შემთხვევაში.

7. „ოხვარა არის შეება უბედურისა“. ესე იგი, თუ უბედური და უნიკო ხარ, იოხერე და შვებას იგრძნობა.

ნიანგურიდან თარგმნა გ. ზარნაძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. თბილი. სატირიკული კოლექციის მისამართი: რუსთაველის ბრ. № 42. ფრენეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 8-10-78

ხელმოწ. დასაბ. 14/VI-1966 წ. ქალ. ზომა 70X108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

00 - 77

— არ გრცევენიათ ამ ხეის კაცებს, სავის ჯიბული  
როგორ ხელს ჰყოფთ?

იაპონია  
გიგანტი

ИНДЕКС 76317

ნახ. გ. ლომიძეს

